საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 08/894-14 "01" 05 2014 წ.

შპს "მობიტელის" დირექტორ
ბატონ გიორგი ტყეშელაშვილს

ასლი: შპს "ჯეოსელს"

შპს "მაგთიკომს"

"ურთიერთჩართვის ტარიფის თაობაზე"

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კერძო საჩივარი და შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის განჩინება (საქმე №3/771-14) კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების შპს "მობიტელის" მიმართ მოქმედების შეჩერების ნაწილში.

შესაბამისად, 2014 წლის 29 აპრილიდან შპს "მობიტელის", როგორც მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიმართ მოქმედებს კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების პირობები.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "მობიტელის" მიერ №148/14, 15.04.2014წ. წერილით კომისიაში წარმოდგენილი და გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის პირობები (რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 2014 წლის 1 მაისიდან) არ შეესაბამება და წინააღმდეგობაშია კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ურთიერთჩართვის მომსახურების ზედა ზღვრულ ტარიფთან.

შესაბამისად, შპს "მობიტელმა" უნდა უზრუნველყოს მასთან ურთიერთჩართულ ავტორიზებულ პირებთან ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ანგარიშსწორება კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზედა ზღვრული ტარიფის ფარგლებში განსაზღვრული ტარიფით, ხოლო თქვენს მიერ გამოქვეყნებულ მოწვევის ოფერტის პირობებში დაუყონებლივ უნდა შეიტანოთ ცვლილებები, მისი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონისა და კომისიის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დანართი: სასამართლოს განჩინება 5 ფურცელი.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ვაკაკი სიხარულიძე

საქმე №3ბ/467-14, 330310114450839

1108461253975

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

29 აპრილი 2014 წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

მოსამართლე: ქეთევან დუგლაძე

კერძო საჩივრის ავტორი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მოწინააღმდეგე მხარე - შპს ,,მობიტელი''

დავის საგანი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით
გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

2014 წლის 10 მარტს, შპს ,,მობიტელმა'' სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი ,,მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ'' საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის N744/19 გადაწყვეტილება. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის განჩინებით (მე-5 პუნქტი) შეჩერდა სადაო აქტის ,,მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ'' კომისიის 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ'' საქართველოს კომუნკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების მოქმედება შპს ,,მობიტელის'' ნაწილში;

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. აღნიშნული ნორმა გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ, ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით; სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ექცევა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ჩამონათვალში, მისი მოქმედება ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სარჩელის წარმოებაში მიღებით ჩერდება ავტომატურად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს მიერ ავტომატურ რეჟიმში იქნა შეჩერებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს ,,მობიტელის'' ნაწილში, ისე რომ სასამართლოს არ უმსჯელია რა ზიანი შეიძლება მიადგეს აღნიშნული განჩინებით სხვა კომპანიებს; თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განჩინების მიღების შემდეგ, კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეჩერდა შპს ,,მობიტელის'' ნაწილში და შესაბამისად ამოქმედდა კომისიის 2012 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილების ცვლილებებამდე არსებული ტარიფი (2011 წლის 18 ნოემბრის რედაქცია), სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი: შპს ,,მაგთიკომისა'' და შპს ,,ჯეოსელის'' ტარიფი შეადგენს 6 თეთრს, ხოლო შპს ,,მობიტელის'' – 11 თეთრს, ანუ თითქმის ორმაგს და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 3 სასამართლო ინსტანცია როგორც წესი გრძელდება მინიმუმ წელიწადნახევარი, შპს ,,მაგთიკომსა'' და შპს ,,ჯეოსელს'' მიადგებათ მატერიალური ზიანი, მით უფრო, რომ მათი ტარიფი კლებადიადროთა განმავლობაში და ტარიფის კლების პროპორციულად გაიზრდება აღნიშნული კომპანიების ზარალი. სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის განჩინების ძალაში დატოვების პირობებში, 2015 წლის სექტემბრისათვის შპს ,,მობიტელი'' ვალდებული იქნება შპს ,,მაგთიკომსა'' და შპს ,,ჯეოსელს'' ურთიერთჩართვის სანაცვლოდ გადაუხადოს 3,5 თეთრი, ხოლო შპს ,,მაგთიკომი'' და შპს ,,ჯეოსელი'' ვალდებულნი იქნებიან ურთიერთჩართვის საფასური შპს ,,მობიტელს'' გადაუხადონ 11 თეთრი, ანუ მათთვის იმავე მომსახურებაში გადახდილი თანხის სამმაგ ოდენობაზე მეტი; გარდა შპს ,,ჯეოსელისა'' და შპს ,,მაგთიკომისა'' თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის განჩინების მე-5 პუნქტის ძალაში დატოვების შემთხვევაში ზიანი ადგება სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძოდ: 2014 წლის 16 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესახებ. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდნენ შპს ,,მაგთიკომი'' და შპს ,,ჯეოსელი''. გამარჯვებულებმა ამ შემთხვევაში შპს ,,მაგთიკომმა'' და შპს ,,ჯეოსელმა'' ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2014-2015 წლების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის N1-ის 3.4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო წინაშე იკისრეს ვალდებულება, რომ კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტერიფებიBeeline-ის აბონენტებთან ერთი წუთისათვის, უნდა შეადგენდეს 11 თეთრს, თუმცა დამატებით პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ,,კანონმდებლობით ტარიფის შემცირების შემთხვევაში,

მიმწოდებელმა შესაბამისად უნდა შეამციროს ამ პუნქტით გათვალისწინებული ტარიფი და პროვაიდერებს შორის ტარიფის გათანაბრების შემთხვევაში გაუტოლდეს ამ დანართის 3.3 პუნქტში არსებულ ტარიფს, რაც შეადგენს 0 თეთრს და პლიუს ზარის წამოწყება - 5 თეთრს. ამდენად, დამატებით პირობაში მითითებული გარემოება დადგა და ეს პირობა ამოქმედდა 2014 წლის პირველი მარტიდან, მას შემდეგ რაც კომისიამ მიიღო 2013 წლის 13 დეკემბრის N744/19 გადაწყვეტილება. ამ საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები შპს ,,მაგთიკომი'' და შპს,,ჯეოსელი'' გახდნენ ვალდებულნი შპს ,,მობიტელისათვის'' ურთიერთჩართვის სანაცვლოდ გადაეხადათ 7 თეთრი, ნაცვლად 11 თეთრისა, რაც პირდაპირ პროპორციულია სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შპს ,,მობიტელის'' მიმართულებით განხორციელებული ზარის ტარიფისა. სასამართლოს მიერ განჩინების მიღების შემდეგ შეჩერდა რა 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების მოქმედება შპს ,,მობიტელის'' ნაწილში, შპს ,,მობიტელში'' ზარის განხორციელების ღირებულება კვლავ შეიცვალა და ნაცვლად 7 თეთრისა, გახდა კვლავ 11 თეთრი. ზემოაღნიშნული ტენდერის შედეგად დადგენილი პირობებით სარგებლობენ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა სატელეფონო მომსახურების ღირებულებას ფარავს სახელმწიფო ბიუჯეტი.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ გაანალიზა საქმის მასალები, შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეათე კარის LI თავით განისაზღვრა კერძო საჩივრის დასაშვებობისა და განხილვის წესი. ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კერძო საჩივრის განხილვისას გამოიყენება მითითებული თავის დებულებანი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419.1. მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს, ხოლო ამ კოდექსის 420-ე მუხლით კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში განხილვა წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით;

სააპელაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას იმის შესახებ, რომ სადაო აქტთან მიმართებაში სახეზეა ადმ. საპ. კოდექსის 29.2. მუხლის „ბ" და „ე" პუნქტებით განსაზღვრული ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც ზღუდავენ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების საფუძველზე , აქტის მოქმედების შეჩერების დასაბუთების გარეშე , მისი მოქმედების შეჩერებას; კერძოდ, ადმ. საპ. კოდექსის 29.2. მუხლის „დ" პუნქტის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობა აქტის დაუყონებლივ აღსრულების შესახებ ან აქტის შინაარსში მითითების არსებობა აქტის დაუყონებლივ აღსრულების აუცილებლობის შესახებ, ასევე აქტის გამოცემის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსებობა აქტის დაუყონებლივ აღსრულების თაობაზე; ვინაიდან მოცემულ სადაო აქტთან მიმართებაში დასახელებულთაგან არც ერთის არსებობა არ დგინდება, შესაბამისად, მისი მოქმედების შეჩერების დაუშვებლობაზე ადმ. საპ. კოდექსის 29.2. მუხლის „დ" პუნქტის მითითება უსაფუძვლოა; ასევე უსაფუძვლოა სადაო აქტის მოქმედების შეჩერების დაუშვებლობის საფუძვლად ადმ.საპ. კოდექსის 29. 2. მუხლის „ ე" პუნქტზე მითითება, რადგან სადაო აქტი არ არის აღმჭურველი ხასიათის და ამასთან, ასეთის შემთხვევაშიც, მისი მოქმედება შეჩერებულია არ არის იმ სხვა პირების მიმართ, რომლების მიმართაც აქტს აქვს აღმჭურველი ხასიათი;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სადაო აქტი შინაარსობრივად ექცევა ადმ.საპ. კოდექსის 29.1. მუხლის რეგულირების სფეროში და მისი მოქმედების შეჩერება სარჩელის წარმოებაში მიღების საფუძველზე დასაშვებია, მაგრამ აღნიშნულის განხორციელებას ხელს უშლის მოცემულ შემთხვევაში ადმ. საპ.

კოდექსის 29.4. მუხლით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა; კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

სააპელაციო პალატას საქმის გარემოებების ანალიზის საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია სადაო აქტის მოქმედების შეჩერებით სხვა პირებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისა და მათი უფლებების შეზღუდვის, შესაბამისად, მისი გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობის შესახებ დასაბუთებულად მიაჩნია; აღნიშნული კი საფუძველს ქმნის აქტის მოქმედების შეჩერების გასაუქმებლად; კერძოდ, სადაო 2013 წლის 13 დეკემბრის #744/19 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა 2012 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილებაში და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: შპს „მაგთიკომს", შპს „ჯეოსელს" და შპს „მობიტელს" განსაზღვრულ გეიგრაფიულ საზღვრებში დაუდგინდათ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ახალი ზედა ზღვრული ტარიფი ; პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით შეაჩერა 2013 წლის 13 დეკემბრის #744/19 გადაწყვეტილების მოქმედება შპს ,,მობიტელის'' ნაწილში, შესაბამისად, შპს „მობიტელის" მიმართ აღარ მოქმედებს ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი, მაშინ, როდესაც შპს ,,მაგთიკომისა'' და შპს ,,ჯეოსელის'' მიმართ ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი მოქმედებაშია; იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,მაგთიკომისა'' და შპს ,,ჯეოსელის'' მიმართ მოქმედი ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი შეადგენს 6 თეთრს, ხოლო შპს ,,მობიტელის''მიმართ მოქმედი ურთიერთჩართვის ძველი ტარიფო შეადგენს 11 თეთრს, შპს ,,მაგთიკომსა'' და შპს ,,ჯეოსელს'' მიადგებათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი; ამასთან, აღსანიშნავია, რომ სადაო გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედი ახალი ტარიფი კლებადია დროის განმავლობაში და აღნიშნული კლება შეეხება მხოლოდ შპს ,,მაგთიკომსა'' და შპს ,,ჯეოსელს'' , რაც ტარიფის კლების პროპორციულად გაზრდის აღნიშნული კომპანიების ზარალს;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „მობიტელის" მიმართ სადაო აქტის მოქმედების შეჩერებით დანარჩენი კომპანიების მიმართ მისი მოქმედების გაგრძელების პირობებში შპს ,,მობიტელის'' მიერ შპს ,,მაგთიკომსა'' და შპს ,,ჯეოსელისათვის'' ურთიერთჩართვის სანაცვლოდ გადასახდელი ტარიფი იქნება იმდენად მნიშვნელოვნად ნაკლები, ხოლო შპს ,,მაგთიკომისა'' და შპს ,,ჯეოსელის" მიერ შპს „მობიტელისათვის" ურთერთჩართვის სანაცვლოდ გადახდილი ტარიფი იქნება იმდენად მნიშვნელოვნად მაღალი , რომ აღნიშნული კომპანიების (შპს ,,მაგთიკომი'' და შპს ,,ჯეოსელი'') განცდილი ზიანი და ინტერესის შელახვა ვერ მიიჩნევა დასაბუთებულად და კანონიერად;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ადმ. საპ. კოდექსის 29.4. მუხლის შესაბამისად ქმნიან ფაქტობრივ–სამართლებრივ წანამძღვრებს სადაო აქტის მოქმედების შეჩერების გასაუქმებლად;

სსსკ–ის 53–ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ მთელ სასამართლო ხარჯებთან ერთად უნდა შეჯამდეს და განაწილდეს მხარეთა შორის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით;

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის განჩინება (#3/771-14) „მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კომუნკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების შპს „მობიტელის" მიმართ მოქმედების შეჩერების ნაწილში (განჩინების მე-5 პუნქტი).

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე ქეთევან დუგლაძე